ოქმი:**ო63. 6324102001**
თარიღი:**11/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 14

ქ. სამტრედია. 8 აპრილი, 2024 წელი.

2024 წლის 8 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა. ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი, გოჩა არველაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ტარიელ

ცომაიამ, ბიუროს წევრებს გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 4 აპრილის*** № : 62-622409556, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტის მოწონების შესახებ", განკარგულების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 01 აპრილის №62-6224092103 მომართვაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	4	5	6
1	ხვედელიძის ქუჩაზე არსებული ეკლესიის დასავლეთ მხარეს გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები.	69,571.00	69,571.00	აპრილი	დეკემბერი	0
2	რაზმაძის ქუჩა N12-ის მიმდებარედ გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშოები.	35,311.00	35,311.00	აპრილი	დეკემბერი	0
3	გამსახურდიას N3-ის მიმდებარედ გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები.	27,543.00	27,543.00	აპრილი	დეკემბერი	0
4	სოფ. ოფეთში ცენტრში გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები.	38,591.00	38,591.00	აპრილი	დეკემბერი	0
5	სოფ. გომის ცენტრში გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები.	38,830.00	38,830.00	აპრილი	დეკემბერი	0
6	სოფ. დიდ ჯიხაიშში გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები.	53,847.00	53,847.00	აპრილი	დეკემბერი	0
7	სოფ. ბაშის ცენტრში გასართობ-მოსასვენებელი სივრცის	46,854.00	46,854.00	აპრილი	დეკემბერი	0

	მოწყობის სამუშაოები.					
8	"ვაზისუბანში რკინიგზის გადასასვლელის მიმდებარედ გასართობ-მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები".	35,139.00	35,139.00	აპრილი	დეკემბერი	0
9	"სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმ. ერთეულში ე.წ. ,,მეურნეობის დასახლებაში“ არსებული 2 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ გასართობ - დასასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები"	71,245.00	71,245.00	აპრილი	დეკემბერი	0
10	"სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმ. ერთეულში ,,კლუბი“-ს შენობის ს/კ 34.03.53.215 დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია".	67,247.00	67,247.00	აპრილი	დეკემბერი	0
11	სოფ. ნინუაკუთხეში N1 ქუჩის რეაბილიტაცია.	261,158.00	13,058.00	აპრილი	დეკემბერი	248,100.00
12	ქ. სამტრედიაში, ბარამიას ქუჩაზე მდ. ჭურთავაზე რკ/ბეტონის საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები.	163,468.00	8174	აპრილი	დეკემბერი	155,294.00
13	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთში მე-4 ქუჩაზე არსებული მილბოგირის გაწმენდა და სათავისების მოწყობა.	13,702.00	13,702.00	აპრილი	დეკემბერი	0
14	დაბა კულაშში, რუსთაველის ქუჩაზე მდ. ჭურთავაზე რკ/ ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა.	25,115.00	25,115.00	აპრილი	დეკემბერი	0
15	სოფ. ჭაგანში ღვთისმშობლის ეკლესიამდე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.	48,629.00	48,629.00	აპრილი	დეკემბერი	0
16	სოფ. ზემო ტოლების ცენტრალური გზიდან ე.წ. სიხარულიძეების უბნის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება - I მონაკვეთი.	224,586.00	11230	აპრილი	დეკემბერი	213,356.00
17	სოფ. ზემო ტოლების ცენტრალური გზიდან ე.წ. სიხარულიძეების უბნის მიმართულებით ბეტონის საფარის დაგება - II მონაკვეთი.	532,476.00	26624	აპრილი	დეკემბერი	505,852.00
18	სოფ. ნინუაკუთხის N8-ე ქუჩაზე ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა.	158,163.00	7909	აპრილი	დეკემბერი	150,254.00
19	სოფ. გომში მე-7 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა	45,463.00	45,463.00	აპრილი	დეკემბერი	0
20	სოფ. გომში მე-2 ქუჩაზე ასფალტ - ბეტონის საფარის მოწყობა.	76,712.00	3836	აპრილი	დეკემბერი	72,876,00
21	სოფ. გომში მე-10 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.	52,120.00	2606	აპრილი	დეკემბერი	49,514,00
22	სოფ. დიდი ჯიხაიშის მე-7 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.	173,055.00	8653	აპრილი	დეკემბერი	164,402,00
23	სოფ. დიდი ჯიხაიშის მე-15 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.	166,772.00	8339	აპრილი	დეკემბერი	158,433,00
24	სოფ. დიდი ჯიხაიშის 42-ე ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება.	78,096.00	3905	აპრილი	დეკემბერი	74,191,00
25	გომის ადმ. ერთეულის სოფ. დობიროში I ლოკაციაზე გაბიონის კედლის მოწყობა.	24,599.00	24,599.00	აპრილი	დეკემბერი	0
26	გომის ადმ. ერთეულის სოფ. დობიროში II ლოკაციაზე	50,933.	50,933.00	აპრილი	დეკემბე	0

	გაბიონის კედლის მოწყობა.	00			რი	
27	გომის ადმ. ერთეულის სოფ.გომნატეხებში გზის სავალი ნაწილის აღდგენა.	217,483.00	10875	აპრილი	დეკემბერი	206,608.00
28	მდ. ხევისწყალაზე სოფ. ტოლებისა და სოფ. ბუღნარას დამაკავშირებელი ხიდის მარჯვენა ბურჯის დასავლეთ მხარეს წყლის ამრიდი ფრთის აღდგენისა და გაბიონის მოწყობა.	371,510.00	18576	აპრილი	დეკემბერი	352,934.00
29	ეწრის ადმ. ერთეულში ბორანის მიმართულებით სანიაღვრე არხის კაპიტალურად მოწყობა.	44,195.00	44,195.00	აპრილი	დეკემბერი	0
30	ქ. სამტრედიაში, წერეთლის N1 და N2 ჩიხებში კაპიტალური არხის რეაბილიტაცია.	34,081.00	34,081.00	აპრილი	დეკემბერი	0
31	ქ. სამტრედიაში, ნიკო ნიკოლაძის ქუჩაზე კაპიტალური არხის მოწყობა.	25,486.00	25,486.00	აპრილი	დეკემბერი	0
32	სოფ. პირველ ნიგორზღვაში საჯარო სკოლიდან ოფეთის ცენტრალურ გზამდე ბეტონის საფარის დაგება.	873,620.00	43681	აპრილი	დეკემბერი	829.939.00
33	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირში ე.წ. ,,თეთრ გზაზე" ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა.	331,150.00	16558	აპრილი	დეკემბერი	314,592.00
34	ქ. სამტრედიაში კოსტავას ქ. ასფალტო-ბეტონის საფარის (პკ0+00-პკ6+20) დაგება.	529,643.00	26483	აპრილი	დეკემბერი	503,160.00
35	ქ. სამტრედიაში კოსტავას ქ. ასფალტო-ბეტონის საფარის (პკ6+20--პკ19+75) დაგება.	704,509.00	35226	აპრილი	დეკემბერი	669,283.00
36	სოფ. ნინუაკუთხეში N13 ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.	145,160.00	7258	აპრილი	დეკემბერი	137,902.00
37	სოფ. ნინუაკუთხეში N4 ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება.	189,119.00	9456	აპრილი	დეკემბერი	179,663.00
38	გამსახურდიასა და ბესიკის ქუჩების კვეთასთან სანიაღვრე არხის ცხაურით მოწყობა.	5,330.00	5,330.00	აპრილი	დეკემბერი	0
39	დ. აღმაშენებლის ქუჩისა და ქაროსანიძის ქუჩის კვეთასთან სანიაღვრე არხის ცხაურით მოწყობა.	7,400.00	7,400.00	აპრილი	დეკემბერი	0
40	ჭანტურიას ქუჩაზე პოლიკლინიკის მისასვლელი გზის კვეთასთან სანიაღვრე არხის ცხაურით მოწყობა.	5,370.00	5,370.00	აპრილი	დეკემბერი	0
41	კოპალეიშვილისა და კანდელაკის ქუჩების კვეთასთან საწრეტი არხის კედლის აღდგენა.	1,500.00	1,500.00	აპრილი	დეკემბერი	0
42	ლეონიძისა და რობაქიძის ქუჩების კვეთასთან სანიღავრე არხის ცხაურით მოწყობა.	7,400.00	7,400.00	აპრილი	დეკემბერი	0
43	მდ. ჭურთავას გაწმენდითი სამუშაოები (რესპუბლიკის ქ. N130-დან (პანთეონის უკანა მხარეს) რკინიგზის მაგისტრალამდე.	65,180.00	65,180.00	აპრილი	დეკემბერი	0
44	რესპუბლიკის ქ. N130 ქუჩის მიმდებარედ რ/ბ სწორკუთხა მილ-ხიდის მოწყობა.	92,710.00	92,710.00	აპრილი	დეკემბერი	0
45	რობაქიძის ქუჩაზე, მაიაკოვსკის ქუჩის შესახვევიდან ფანჯიკიძის ქუჩის შესახვევამდე, სანიაღვრე არხის მოწყობა.	119,750.00	119,750.00	აპრილი	დეკემბერი	0
	თამარ მეფის ქუჩა N23 ბინის					

46	ეზოში ა/ბეტონის საფარის მოწყობა.	11,410.00	11,410.00	აპრილი	დეკემბერი	0
47	თავისუფლების ქუჩა N54-ის მიმდებარედ არსებული მილების (2 ცალი) დიამ.1.5 მ. სათანადო ნიშნულზე დაწევა.	7,550.00	7,550.00	აპრილი	დეკემბერი	0
48	სოფ. დიდი ჯიხაიშში N26 ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა.	362,140.00	18107	აპრილი	დეკემბერი	344,033.00

აზრი გამოთქვეს: ნუგზარ ჯამბურიამ და ვაჟა სტურუამ.

ნუგზარ ჯამბურია - სასურველია წარმოდგენილ პროექტში მითითებული იყოს ასფალტო-ბეტონის საფარის დაგების შემთხვევაში, კილომეტრების რაოდენობა და საბოლოოდ სულ პროექტის ღირებულება და თანადაფინანსების რაოდენობა. ქვეპუნქტები დალაგებული იყოს შესასრულებელი სამუშაოების დანიშნულების და ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.

ვაჟა სტურუა - პროექტის დანართი N1-ის მე-10 ქვეპუნქტში მითითებულია შემდეგი ჩანაწერი: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმ. ერთეულში ,,კლუბი"-ს შენობის ს/კ 34.03.53.215 დაზიანებული სახურავის რეაბილიტაცია", ღირებულება 67,247.00 ლარი. ჩემთვის ცნობილია, რომ კლუბის შენობას მარტო სახურავის რეაბილიტაცია არ უკეთდება, არამედ იცვლება კარ-ფანჯრები და ილესება კედლები. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია მე-10 პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმ. ერთეულში ,,კლუბი"-ს შენობის ს/კ 34.03.53.215 რეაბილიტაცია" .

კენჭისყრაზე დადგა პროექტში ცვლილების შეტანის საკითხი. კერძოდ, მე-10 პუნქტის ცვლილება შემდეგი რედაქციით: "სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმ. ერთეულში ,,კლუბი"-ს შენობის ს/კ 34.03.53.215 რეაბილიტაცია" .

ბიუროს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული წინადადების ირგვლივ და კენჭი უყარეს პროექტში ცვლილების შეტანას.

კენჭისყრის შედეგად, 8 ხმით, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტის მოწონების შესახებ'', პროექტის მე-10 პუნქტში შევიდა ცვლილება, შესაბამისი რედაქციით.

პროექტის ირგვლივ სხვა შენიშვნა არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), შესაბამისი ცვლილებით, საკითხი შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./

2. სხვადასხვა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), მიღებულია საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2024 წლის

10 აპრილს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი